# საქართველოს პრემიერ-მინისტრის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 362 2021 წლის 21 დეკემბერი ქ. თბილისი

**„პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების მიზნით საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2019 წლის 10 ოქტომბრის №409 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-10 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე, „პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების მიზნით საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2019 წლის 10 ოქტომბრის №409

ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

**მარიამ ქუჩულორია** – ა(ა)იპ – ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე – საბჭოს თავმჯდომარე;

**თამაზ ბახტაძე** – სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კოორდინატორი (პროფესიული განათლების) – საბჭოს წევრი;

**გიორგი გამყრელიძე** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი – საბჭოს წევრი;

**გიორგი ვეკუა** – სსკ – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესის და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი – საბჭოს წევრი;

**მარიკა ზაქარეიშვილი** – გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის „კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი – საბჭოს მდივანი;

**თორნიკე თოხაძე** – ა(ა)იპ – საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი – საბჭოს წევრი;

**ნათია კვიციანი** – მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი – საბჭოს წევრი;

**ნატო მებურიშვილი** – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი – საბჭოს წევრი;

**ნიკოლოზ მესხიშვილი** – პროფესიული განათლების ექსპერტი – საბჭოს წევრი;

**თამარ ჯაფარიძე** – სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი – საბჭოს წევრი;

**თორნიკე ჯობავა** – სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ციფრული უნარების განვითარების“ პროგრამის კოორდინატორი – საბჭოს წევრი.“.

**ირაკლი ღარიბაშვილი**